



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 9 / 2016

თბილისი

25 აგვისტო 2016 წ.

სხდომის დაწყების დრო: 17. 00

სხდომის დასრულების დრო: 17. 30

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|-------------------------------|----------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი; | 8. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; | 9. უფრ. მასწ. მაია ივანიძე; |
| 3. პროფ. არჩილ ლორია; | 10. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე; | 11. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი; | 12. სტუდენტი ელენე კვერნაძე; |
| 6. პროფ. თამარ ლალიაშვილი; | 13. სტუდენტი ალექსანდრე კუჭავა; |
| 7. ასოც. პროფ. დავით გეფერძე; | |

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის ხაგანი ალიევს (პასპორტი C00760868) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 23 აგვისტოს № MES 7 16 00980239 წერილის (თჰუ-ში შემოსვლის თარიღი 25.08.2016) წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 04 აგვისტოს №605 ბრძანების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ხაგანი ალიევს (პასპორტი C00760868), რომელმაც 2015 წელს დაამთვრა კახის რაიონის სოფ. დაიმადაღლის საშუალო სკოლა (ატესტატი A №471192). მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი

განცხადების საფუძველზე მიზამშეწინილია იგი ჩაირიცხოს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ის ჩააბარებს სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებს სწავლების ენის ფლობას.

მომხსენებლმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავად ის წინააღმდეგია აზერბაიჯანის მოქალაქეების სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებად ჩაირიცხვისა, ვინაიდან წინა პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორც წესი ისინი ვერ ახერხებენ ზოგჯერ ენის ბარიერის, ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო პროგრამის დაძლევას, თუმცა სამწუხაროდ ის შეზოჭილია რექტორატის პოზიციითა და სამინისტროს გადაწყვეტილებით.

აზრი გამოთქვს: პროფ. ა. ლორიამ და მასწ. მ. ივანიძემ

კრწისყრის შედეგები: დაეთანხმა 11 წევრი, წინაარმდეგია 2 - კ. ყურაშვილი, ნ. ნიჟარაძე

გადაწყვეტეს:

1. ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ხაგანი ალიევ (პასპორტი C00760868) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით, სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

კ. ყურაშვილი

მდივანი:

ე. ირემაძე

